ეროვნული ნაკრები

მატჩის ოფიციალური პროგრამა

OFFICIAL MATCHDAY PROGRAMME

საქართველო v ბელარუსი

8 ოქტომბერი, 2020 | 20:00 | დინამო არენა

VTB BORJOMI

VTB

ქართული ფეხბურთის N1 ქომაგი

პრეზიდენტის სიტყვა

მოგესალმებით

დღეს, დინამო არენაზე ჩვენი ეროვნული გუნდი ბელარუსის ნაკრებს უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის ნახევარ-ფინალური მატჩი, ნაკრების და ზოგადად ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თამაშია.

სამწუხაროდ დღევანდელი შეხვედრა, როგორც ერთი თვის წინ ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ, უმაყურებლოდ ჩაივლის. თუმცა, რასაკვირველია, ამ მატჩის გარშემო არსებულ ემოციურ მუხტს ვერაფერი შეცვლის.

დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი მწვრთნელი, ფეხბურთელები, პერსონალი და ყველა ის ადამიანი, რომელიც ეროვნული გუნდის გარშემო მუშაობს, ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ გულშემატკივრებს ისტორიული დღეები აჩუქონ!

ამ თამაშის მნიშვნელობაზე ბევრს აღარ ვისაუბრებ, მხოლოდ ერთს დავამატებ, რომ მინდა მომავალმა თაობებმა, ეროვნული ნაკრების მაისურით იმას მიაღწიონ, რაც მე და ჩემი თაობის ფეხბურთელებმა ვერ შევძელით. იმედი მაქვს დღევანდელი მატჩი, სწორედ ამ საოცნებო მიზნისკენ გადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი იქნება.

პატივისცემით,
ლევან კობიაშვილი

გიორგი ლორია

„ძალიან ახლოს ვართ ჩვენი და ჩვენი ყველა თანამემამულის ოცნებასთან“

ეროვნული გუნდის მეკარე – გიორგი ლორია, რომელიც მალე ნაკრებში თავის მე-60-ე მატჩს ჩაატარებს, ბელარუსთან მატჩის წინ სხვადასხვა საფეხბურთო თემებზე საუბრობს, მათ შორის მოახლოებულ მატჩზე, ახალგაზრდა ქართველ მეკარეებზე, დინამო თბილისში მის ძველ თანაგუნდელზე და ა.შ.

როგორ შეეგუე კვიპროსზე ცხოვრებას?

თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ გუნდში ბევრი ქართველის ყოფნამ, ადაპტაციის პერიოდი გაამარტივა.

კრეტა თუ კვიპროსი?

მოკლედ ვიტყვი – კრეტა, ჰერაკლიონი.

რაც უფრო ასაკი გემატება, უკეთეს ფორმაში შედიხარ... შენ თავი რომელიმე ფილმის პერსონაჟს ხომ არ გაგონებს?

არა (იცინის)... რაც უფრო ასაკში შედიხარ, გამოცდილება გემატება, დეტალებს მეტ ყურადღებას აქცევ, ფორმას უკეთ ინარჩუნებ... ალბათ ამის გამო ხდება.

ფეხბურთის ხალხი ხშირად ამბობს ხოლმე, რომ დიდიე ოვონოსგან ბევრი რამ ისწავლე – მართალია?

ერთი რჩევა ნამდვილად მახსოვს, რასაც მთელი კარიერა ვითვალისწინებ – არ აჰყვე ემოციას და იმოქმედე ცივი გონებით. ეს ალბათ არამარტო მოედანზე, არამედ ცხოვრებაშიც გამოსაყენებელი მიდგომაა.

კარიერა გასულ წელს, პარიზის მე-13 რაიონის კლუბში, Paris FC-ში დაასრულა... გაქვთ კიდევ კონტაქტი?

ნამდვილად არ ვიცოდი, რომ კარიერაა დაასრულა დიდიემ, სამწუხაროდ აღარ გვაქვს კონტაქტი. მინდა, რომ ჯანმრთელად იყოს და დიდხანს არაფერს შეეწუხებინოს.

დღეს ეროვნულ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, რა რჩევას აძლევ ხოლმე ახალგაზრდებს ნაკრებში ყველაზე ხშირად?

მოვიტყუები, რომ ვთქვა, რომ რჩევა დარიგებებით გამოვირჩევი. უბრალოდ, სამუშაო პროცესისას, როგორც გუნდის რიგითი წევრი ჩემ აზრს ვაფიქსირებ ხოლმე, რაღაც განსაკუთრებული პირადი რჩევების მიცემა არ მახასიათებს.

დღეს ნაკრებში ისეთი ატმოსფერო და სიტუაციაა, არ ვთვლი, რომ ვინმე რაიმე სახის პირად მითითებას, ან თუნდაც შესწორებას საჭიროებს. ეროვნულ გუნდში ყველა პროფესიონალია, როგორც სამუშაო პროცესში, ასევე მის გარეთ.

ახალგაზრდა ქართველ მეკარეებზე რა აზრის ხარ? ზოგადად, შენი დაკვირვებით რა კომპონენტში ვართ ძლიერები და რაში უნდა მოვუმატოთ?

ძლიერი და ნიჭიერი ახალგაზრდა მეკარეები გვყავს, ყოველთვის, ყველა თაობაში. ვთვლი, რომ მეკარეობის ნიჭი გვაქვს ქართველებს.

ერთადერთი რაც ცოტა გვაკლია, იგივე ჩემ მაგალითზე ვიტყვი, არის ცოტა მეტი საფეხბურთო ცოდნა – მუდამ გჭირდება პროგრესის განცდა. განა იმას ვამბობ, რომ ცოდნა არ გვაქვს, უბრალოდ ფეხბურთი ყოველწლიურად ვითარდება და შენ ამ ახალი ცოდნის მიღების საშუალება უნდა გქონდეს, რომ შენც არ ჩამორჩე პროცესებს და განვითარდე.

ადრე მეკარეს არ მოეთხოვებოდა ბევრი რამ, ბოლო წლებში ამ პოზიციის მოთამაშეს უამრავი სათამაშო კომპონენტი დაემატა – აი ამას არ უნდა ჩამორჩე.

წინ ისტორიული დღეები გველის, ნაკრებში მალე 60 მატჩს გადააბიჯებ... რა გასწავლა ეროვნულ გუნდში გატარებულმა წლებმა?

მართლაც, რომ ისტორიული დღეები გველის და ამისთვის ვემზადებით ყველანი. ალბათ ის მასწავლა, რომ ეროვნული გუნდის მეკარეობა ძალიან, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

ასევე ის, რომ ზოგადად მეკარეობა ურთულესი საქმეა, ჯერ შენ თავს უნდა აჯობო 90 წუთი, შეინარჩუნო კონცენტრაცია და შემდეგ მეტოქეს.

შესაძლოა, მომავალმა ორმა თვემ, ქართული ფეხბურთის განვითარების რიტმი რადიკალურად შეცვალოს... შენ როგორ აფასებ ამ პერიოდის მნიშვნელობას?

პირველ რიგში, ბელარუსთან თამაში უდიდესი მნიშვნელობის მატჩია! ზოგადად კი ძალიან ახლოს ვართ ჩვენი და ჩვენი ყველა თანამემამულის ოცნებასთან.

და ბოლოს, რას ეტყოდი პატარა გიორგი ლორიას, რომელიც ვარჯიშზე პირველად მიდის... რა უნდა ახსოვდეს მას მთელი კარიერა?

სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდებოდა ამის რეალური შესაძლებლობა, რომ მქონდეს. იმას ვეტყოდი, რომ ყოველთვის, მუდამ დაუჯეროს მამას. ყოველთვის გაითვალისწინოს მისი და დედის რჩევები, მხოლოდ მათი, მეტი არავისი.

ჩვენი დღევანდელი სტუმრები: ბელარუსი

ბელარუსის ნაკრებმა, ისტორიაში პირველი მატჩი 1992 წელს, ვილნიუსში ლიეტუვის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა, შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ხოლო ფიფას მიერ აღიარებული პირველი ამხანაგური მატჩი, 2 თვის შემდეგ, ბელარუსებმა უკრაინის წინააღმდეგ მინსკში ითამაშეს, ამ შეხვედრაშიც იდენტური ანგარიში – 1:1 დაფიქსირდა.

ბელარუსები დიდ ტურნირზე გასვლასთან ყველაზე ახლოს 2001 წელს იყვნენ, როდესაც 2002 წლის მუნდიალის პლეი-ოფში გასასვლელად, მხოლოდ გასვლაზე უელსთან მოგება ესაჭიროებოდათ. კარდიფის მილენიუმზე გამართული მატჩი, ედუარდ მალაფეევის გუნდმა მასპინძლებთან 1:0 დათმო და გერმანიის ნაკრებს პლეი-ოფში უკრაინა დაუპირისპირდა.

მეკარეები

ალეკსანდრ გუტორი (სოლიგორსკის შახტიორი)
დენის შერბინცკი (ბატე ბორისოვი)
სერგეი იგნატოვიჩი (დინამო ბრესტი)

მცველები

C ალეკსანდრ მარტინოვიჩი (კრასნოდარი)
მაკსიმ ბორდაჩევი (ტორპედო ბრესტი)
დენის პოლიაკოვი (ალმაატის ყაირატი)
ნიკიტა ნაუმოვი (ტელდიკორღანის ჟეტისუ)
ალეკსანდრ პავლოვეცი (დინამო ბრესტი)
რომან იუზეპჩუკი (დინამო ბრესტი)
ალეკსანდრ საჩივკო (სოლიგორსკის შახტიორი)
ნიკოლაი ზოლოტოვი (ეკატერინბურგის ურალი)
მაკსიმ შევცოვი (დინამო მინსკი)
სერგეი კარპოვიჩი (მინსკის ისლოჩი)

ნახევარმცველები

სტანისლავ დრაგუნი (ბატე ბორისოვი)
იგორ სტასევიჩი (ბატე ბორისოვი)
პაველ ნეხაიჩიკი (ბატე ბორისოვი)
ევგენი აბოლონსკი (ბატე ბორისოვი)
ივან მაევსკი (ასტანა)
მაკს ებონგი (ასტანა)
პაველ სავიცკი (დინამო ბრესტი)
კირილ პეჩენი (დინამო ბრესტი)
ნიკიტა კორზუნი (სოლიგორსკის შახტიორი)
იური კენდიში (სოლიგორსკის შახტიორი)
დმიტრი პოდსტრელოვი (სოლიგორსკის შახტიორი)
იური კოვალევი (ტულას არსენალი)
ვალერი გრომიკო (ტულას არსენალი)
ივან ბახარი (დინამო მინსკი)
ანდრეი ხაჩატურიანი (ტორპედო ბელაზი)

თავდამსხმელები

მაკსიმ სკავიში (ბატე ბორისოვი)
ნიკოლაი სიგნევიჩი (ხიმკი)
დენის ლაპტევი (დინამო ბრესტი)
ვიტალი ლიკსაკოვიჩი (მოსკოვის ლოკომოტივი)

მთავარი მწვრთნელი

მიხაილ მარხელი

ჩვენი დღევანდელი სტუმრები, საშინაო მატჩებს ბორისოვ არენაზე ატარებენ (13,126). ბატე ბორისოვის სტადიონი 2014 წელს აშენდა და კონსტრუქციის ღირებულება 40 მილიონი ევრო გახლდათ.

ბელარუსის ნაკრები, საქართველოს ეროვნულ გუნდს ისტორიაში 3-ჯერ დაუპირისპირდა. 2012 წლის შემოდგომაზე გამართული ორი ოფიციალური მატჩიდან ერთი ჩვენ მოვიგეთ (1:0, თბილისში), ერთი ბელარუსებმა (2:0, მინსკში). ხოლო ბოლო ამხანაგური მატჩი ქუთაისში ფრედ 2:2 დასრულდა.

კაპიტანი: ალეკსანდრ მარტინოვიჩი

ტანმაღალი ცენტრალური მცველის კარიერა, მინსკის ოლიმპიური რეზერვის გუნდში დაიწყო, თუმცა მალევე ქალაქის მთავარ კლუბში – დინამოს რიგებში ჩარიცხვით განვითარდა. საფეხბურთო სამყარო მარტინოვიჩს უფრო კრასნოდარიდან იცნობს, სადაც 2010 წლის შემდეგ თამაშობს.

კრასნოდარის მცველი, 2009 წლიდან ეროვნული გუნდის წევრია, სადაც 73 მატჩის ჩატარება მოასწრო და მეტოქის კარი 2-ჯერ აიღო. მარტინოვიჩმა 2015 წელს ტიმოფეი კალაჩევისგან ეროვნული ნაკრების კაპიტნის სამკლავური გადაიბარა. ნაკრებში გატანილი ორივე გოლი, კაპიტანმა 2010 წელს ომანის კარში გაიტანა.

ვის უნდა ვუფრთხილდეთ: სტანისლავ დრაგუნი

დრაგუნი, 2018 წლის ერთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ანტონ საროკასთან ერთად, ბელარუსთა ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ. D დივიზიონის ბომბადირობა დრაგუნმა და სომეხმა შემტევმა - იურა მოვსესიანმა გაიყვეს, რომლებსაც 5-5 გოლი დაუგროვდათ. ჯამში კი ნაკრებში დრაგუნის ანგარიშზე 11 გატანილი გოლია, რითიც ნაკრების ისტორიაში საუკეთესო გოლეადორთა სიაში მეხუთე ადგილს იკავებს.

მისი კარიერა მინსკის ლოკომოტივში დაიწყო, სხვადასხვა დროს ითამაშა მინსკი და მოსკოვის დინამოებში, ასევე კრილია სოვეტოვში. დღეს ბორისოვის ბატეს ღირსებას იცავს და კლუბის ერთ-ერთი ლიდერია. 2012 წელს დრაგუნს საქართველოს ნაკრების კარშიც აქვს გოლი გატანილი, როდესაც 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში, მინსკში 2:0 დავმარცხდით.

- ბელარუსის ყველაზე მაღალი წერტილი ძერჟინსკის მთაა, რომელიც ზღვის დონიდან მხოლოდ 345 მეტრზე მდებარეობს.
- პირველი ბელარუსი ნობელის ლაურეატი – სიმონ კუზნეცი გახლდათ, რომელმაც პრემია 1971 წელს ეკონომიკაში გაწეული შრომისათვის მიიღო. ჯამში ქვეყანას ხუთი ნობელიანტი ჰყავს.
- ბელარუსის ტერიტორიაზე, ბელოვეჟის ტყეში გადაშენების პირას მყოფი 800 ევროპული ბიზონი ბინადრობს. ბელოვეჟის ტყე-პარკი იუნესკოს სიაში შემავალი ტერიტორიაა.
- „ევროპის ფილტვები“ ბელარუსის ზედმეტსახელია – ქვეყნის 40% ტყით არის დაფარული.
- ბელარუსის ეროვნული ბიბლიოთეკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდია, 74 მეტრის სიმაღლის შენობაში, 23 სართულია განთავსებული.
- ჩერნობილის კატასტროფამ ბელარუსი ძალიან დააზიანა – რადიაცია ქვეყნის 1/3-ს მოედო. სწორედ ამიტომ, ბელარუსის ტერიტორიის 25% დაუსახლებელია.
- ბელარუსში უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი – 0.5% უდრის, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.
- პოლოცკი ბელარუსის უძველესი ქალაქია, 862 წელსაა დაარსებული და საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთ სლავების ერთ-ერთი კულტურული ცენტრი გახლდათ.
- ბელარუსების 8.3% რუსეთშია დაბადებული, ხოლო 70.2% რუსულად საუბრობს.
- ჰოლივუდის ცნობად სახეებს – ჰარისონ ფორდს, სკარლეტ იოჰანსონს, მაიკლ დუგლასს, გვინეტ პელტროუს და ვაინონა რაიდერს ბელარუსული ფესვები აქვთ.

„ეს არის დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი, ახლა გვაქვს შანსი შევცვალოთ ისტორია და მოვხვდეთ ევროპის ჩემპიონატზე!

ეს თამაში ჩემ სამწვრთნელო კარიერაშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია... ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ მოედანზე გავალთ და მოგებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ!“

ვლადიმირ ვაისი

ბორჯომი

ეს მხოლოდ დასაწყისია

მთავარი მწვრთნელი

ვლადიმირი ვაისი
Vladimir Weiss

მეკარეები

გიორგი ლორია
Giorgi Loria
ანორთოსის ფამაგუსტა
Anorthosis Famagusta

გიორგი მაკარიძე
Giorgi Makaridze
ალმერია
UD Almería

ლაზარე კუპატაძე
Lazare Kupatadze
საბურთალო
FC Saburtalo

მცველები

გურამ კაშია
Guram Kashia
სან ხოსე ერთქუეიკსი
San Jose Earthquakes

ჯემალ ტაბიძე
Jemal Tabidze
უფა
FC Ufa

ოთარ კაკაბაძე
Otar Kakabadze
ტენერიფე
CD Tenerife

სოლომონ კვირკველია
Solomon Kvirkvelia
ვოლგოგრადის როტორი
FC Rotor Volgograd

დავით ხოჭოლავა
David Khocholava
დონეცკის შახტარი
Shakhtar Donetsk

ლაშა დვალი
Lasha Dvali
ფერენცვაროში
Ferencvárosi TC

ნიკოლოზ მალი
Nikoloz Mali
საბურთალო
FC Saburtalo

მამუკა კობახიძე
Mamuka Kobakhidze
დინამო ბათუმი
FC Dinamo Batumi

გია გრიგალავა
Gia Grigalava
ტულას არსენალი
Arsenal Tula

გიორგი ნავალოვსკი
Giorgi Navalovski
დინამო ბათუმი
FC Dinamo Batumi

ნახევარმცველები

ჯაბა ჯიღაური
Jaba Jigauri
დინამო ბათუმი
FC Dinamo Batumi

გიორგი აბურჯანია
Giorgi Aburjania
რეალ ოვიედო
Real Oviedo

C
ჯაბა კანკავა
Jaba Kankava
ტობოლი
FC Tobol

ოთარ კიტეიშვილი
Otar Kiteishvili
შტურმ გრაცი
SK Sturm Graz

მურთაზ დაუშვილი
Murtaz Daushvili
ანორთოსის ფამაგუსტა
Anorthosis Famagusta

გიორგი ჩაკვეტაძე
Giorgi Chakvetadze
გენტი
KAA Gent

საბა ლობჟანიძე
Saba Lobjanidze
ანკარაგუჯუ
MKE Ankaragücü

ხვიჩა კვარაცხელია
Khvicha Kvaratskhelia
ყაზანის რუბინი
FC Rubin Kazan

ნიკოლოზ კვეკვესკირი
Nikoloz Kvekveskiri
ტობოლი
FC Tobol

ვაკო გვილია
Vako Gvilia
ვარშავის ლეგია
Legia Warszawa



ლევან შენგელია
Levan Shengelia
ქონიასფორი
Konyaspor

თავდამსხმელები

თორნიკე ოქრიაშვილი
Tornike Okriashvili
ანორთოსის ფამაგუსტა
Anorthosis Famagusta

ვაკო ყაზაიშვილი
Vako Qazaishvili
სან ხოსე ერთქუეიკსი
San Jose Earthquakes



ნიკოლოზ კაჭარავა
Nikoloz Kacharava
ლეხ პოზნანი
Lech Poznań

ელგუჯა ლობჯანიძე
Elguja Lobjanidze
კაისარი
FC Kaisar

გიორგი ქვილითაია
Giorgi Kvilitaia
ანორთოსის ფამაგუსტა
Anorthosis Famagusta



ოქრის პირველი გოლი ოფიციალურ მატჩში

თორნიკე ოქრიაშვილმა ეროვნული გუნდის რიგებში, ოფიციალურ მატჩში პირველი გოლი სწორედ ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ გაიტანა. ოქრის ბელარუსთან გატანილი გოლი, ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.







51 მატჩი კაპიტნის რანგში

8 სექტემბერს, ჩრდილოეთ მაკედონიის წინააღმდეგ, ეროვნული გუნდის კაპიტანმა – ჯაბა კანკავამ ნაკრების კაპიტნის რანგში, სარეკორდო 51-ე მატჩი ჩაატარა.

ჯაბა ნაკრებში 2004 წლიდან თამაშობს და განვლილი 16 წლის მანძილზე, ეროვნული გუნდის მაისურით 88 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 10 გოლის გატანა შეძლო.

„გულშემატკივრების სურვილი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა და პირობას ვდებ, პირადად მე და ნაკრები ამისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ“ – ამბობდა კაპიტანი 2019 წლის სფფ-ის დაჯილდოებაზე, სადაც ქვეყნის საუკეთესო კაცი ფეხბურთელის ჯილდო მას მეორედ გადასცეს.

ბოლო მატჩი ბელარუსთან – დებიუტანტის გოლი ქუთაისში

2017 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში გამართული ამხანაგური თამაშები, გამორჩეული იყო იმ მხრივ, რომ ნაკრებმა საშინაო მატჩები რეგიონებში ჩაატარა. კი, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეროვნულ გუნდს ქვეყნის შიგნით თბილისს გარეთ უთამაშია, თუმცა ძალიან იშვიათად.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა, 2017 წლის 10 ნოემბერს გორში კვიპროსს სძლია, ხოლო სამ დღეში, ქუთაისში ბელარუსებთან მატჩი, ფრედ – 2:2 დასრულდა.

ქუთაისში ტრიბუნები თითქმის ბოლომდე შეივსო. მატჩი საოცარი გულშემატკივრობის და ატმოსფეროს ფონზე წარიმართა – თამაშიც, იმერეთშიც უფრო სანახაობრივი გამოვიდა.

რამაზ შენგელიაზე კარგი თამაში ჩაატარა გიორგი აბურჯანიამ და ასევე დებიუტანტმა ირაკლი სიხარულიძემ. სიზუსტე, ჩაშლა, მწვავე პასი – აბურჯანიას ყველაფერი კარგად გამოსდიოდა.

მაშინ ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირმა – ირაკლი სიხარულიძემ, ნაკრებში სადებიუტო გოლი გაიტანა და კიდევ არაერთ მომენტში აჯობა ბელარუსთა მცველებს.

„ასეთ ნაკრებებთან მოგება უნდა ვისწავლოთ“ – განაცხადა ვლადიმირ ვაისმა მატჩის შემდეგ. ეს ფრაზა პირველ რიგში მაშინ მოახლოებულ 2018 წლის ერთა ლიგის გათამაშებას ეძღვნებოდა, რომელის ჯგუფური ეტაპიც, შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 16 ქულით და პირველი ადგილით დაასრულა.

შემდგენელი | გიორგი ფირსხელიანი
ფოტოგრაფი | ლაშა კუპრაშვილი
ილუსტრატორი | სოფო კირთაძე